



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 73
29/06/2017

73-03-4-201706291214



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების ფუნქციათა ერთობლიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, (სამუშაო ჯგუფის 2017 წლის 28 ივნისის ოქმი N1)


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ამ ბრძანების დანართში მითითებული თანამდებობები 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებად.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებული პირების დანიშვნის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ პროექტების მომზადება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა